2024 წლის 6 თვის ანგარიში საბიუჯეტო ორგანიზაციის პროგრამის და ქვეპროგრამების შესახებ
შსს საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია (30 02)

(საბიუჯეტო ორგანიზაციის დასახელება, პროგრამული კოდი)

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სახელმწიფო საზღვრის დაცვა - 3002

პროგრამის განმახორციელებელი – საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

ათას ლარებში

პროგრამულ იკოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებუ ლი მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებუ ლი მოცულობა	6 თვის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთი სარსებობის შემთხვევაში)
30 02	<u>სახელმწიფო საზღვრის დაცვა</u>	154 600,0	154 269,3	76 722,0	49,73 %	-

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში, საქართველოს საზღვაო სივრცესა და საქართველოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ გემებზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სამაშველო ოპერაციების განხორციელება ადამიანთა სიცოცხლისა და ქონების გადასარჩენად, საქართველოს საზღვაო სივრცეში მისი სუვერენული უფლებების დაცვა, ზღვაოსნობისა და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნაოსნობის წესების დაცვის კონტროლი, სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურული ერთეულების, რეგიონული სამმართველოებისა და სასაზღვრო სექტორების ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის საჰაერო ფლოტის მხარდაჭერა.

2024 წლის 6 თვის განმავლობაში, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ სახელმწიფო საზღვარზე გამოვლენილი და აღკვეთილი იქნა შემდეგი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები (576 ფაქტი დაკავებულია 504 პირი):

– დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის 198 საქმეზე, დაკავებულია და 126 პირი;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევა - 378 ფაქტი, დაკავებულია 378 პირი.

2024 წლის 6 თვეში, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევების შედეგად, ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმების სახით დაკისრებულმა თანხამ შეადგინა 658 830 ლარი .

2024 წელს, შსს საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის პროგრამული ბიუჯეტით დაგეგმილია საჰაერო ფლოტის მოდერნიზება და სტანდარტიზება, რომელიც ითვალისწინებს სასაზღვრო პოლიციის საავიაციო პარკის განახლებას:

- 2022 წლის 19 დეკემბერს, შპს "AIRBUS HELICOPTERS SAS"- თან დადებულია ხელშეკრულება l15/3-309 სამი H-145 ვერტფრენის შესყიდვაზე. ნაწილობრივ შესრულებულია, მიღებულია ორი ვერტმფრენი H-145 (GBP-10023, GBP-10024);
- 2022 წლის 22 დეკემბერს, "ეარბას ჰელიკოპტერს რუმინეთი"-სთან გაფორმებულ N15/3-306 ხელშეკრულების თანახმად, შვეულმფრენს ბორტი GBP-10004 12/1200 საათიანი ტექნიკური ინსპექტირება ჩაუტარდა.